

საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA
SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY
№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

23.01.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №15

“ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სატელეფონო მომსახურების ლიმიტისა და საწვავის ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის პირველი დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. “ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სატელეფონო მომსახურების ლიმიტისა და საწვავის ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის პირველი დეკემბრის N31 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული:

ა) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სატელეფონო მომსახურების ხარჯვის ლიმიტი დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის-აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საწვავის ხარჯვის ლიმიტი დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე




მამუკა წოწერია

დამტკიცებულია
 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 2018 წლის 23 იანვრის
 №15 განკარგულებით

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის- აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სატელეფონო მომსახურების ხარჯვის ლიმიტი

№	თანამდებობის დასახელება და სტრუქტურული ერთეული	რიცხოვნება	სატელეფონო ლიმიტი თვეში (ლარი)	სატელეფონო ლიმიტი სულ თვეში (ლარი)	სატელეფონო ლიმიტი 12 თვეზე (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	40	40	480
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	30	60	720
3	საკრებულოს კომისიები	5	20	100	1200
4	საკრებულოს ფრაქციები	4	20	80	960
5	საკრებულოს ფრაქციის მოადგილეები	4	10	40	480
6	დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეული - აპარატი		410	410	4920
	სულ ჯამი			730	8 760



დამტკიცებულია
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2018 წლის 23 იანვრის
№15 განკარგულებით

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საწვავის ხარჯვის ლიმიტი

№	თანამდებობის დასახელება და სტრუქტურული ერთეული	რიცხოვნება	საწვავის ლიმიტი თვეში (ლიტრი)	საწვავის ლიმიტი სულ თვეში (ლიტრი)	საწვავის ლიმიტი 12 თვეზე (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	700	700	8400
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	400	800	9600
3	საკრებულოს კომისიები	5	150	750	9000
4	საკრებულოს ფრაქციები	4	150	600	7200
5	საკრებულოს ფრაქციის მოადგილეები	4	50	200	2400
6	დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეული - აპარატი		500	500	6000
	სულ ჯამი			3 550	42 600

